ს ა კ ძ ე ს ი ს ც ნ ო ბ ა

ხომალდები ნორმალურად დაეშვნენ დედამიწაზე

ფრენის პროგრამის შესაბამისად, 1962 წლის 15 აგვისტოს ნავარაუდევ რაიონში განხორციელდა დაშვება კოსმოსური ხომალდებისა „აღმოსავლეთ-3“-ის, რომელშიც არის კოსმონავტი ამხანაგი ანდრიან გრიგოლის ძე ნიკოლაევი, და „აღმოსავლეთ-4“-ის, რომელშიც არის კოსმონავტი პავლე რომანის ძე პოპოვიჩი.

კოსმოსური ხომალდები „აღმოსავლეთი-3“ და „აღმოსავლეთი-4“ ნორმალურად დაეშვნენ დედამიწაზე.

კოსმონავტთა დაშვების დრო: ამხანაგ ანდრიან გრიგოლის ძე ნიკოლაევისა — 9 საათი და 55 წუთი, ამხანაგ პავლე რომანის ძე პოპოვიჩისა — 10 საათი და 01 წუთი.

კოსმოსური ფრენისა და დედამიწაზე დაშვების შემდეგ ორივე კოსმონავტი კარგად გრძნობს თავს.

კოსმოსური ხომალდების „აღმოსავლეთი-3“-ისა და „აღმოსავლეთი-4“-ის ფრენის პროგრამა მთლიანად შესრულდა.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

16 აგვისტო
ხუთშაბათი,
1962 წ.
№ 161 (2010)
გამოცემის მე-19 წელი
ფასი 3 კაპ.

ვარსკვლავეთის ხომალდის კაპიტანი

ჯერ კიდევ გუშინ ამ კაცს მხოლოდ მშობლები, ამხანაგები და მეგობრები იცნობდნენ. ახლა კი მისი სახელი, ისევე როგორც მისი მეგობრის, კოსმოსურ ხომალდ „აღმოსავლეთ 3“-ის კაპიტნის — მაიორ ანდრიან ნიკოლაევის სახელი, მთელს მსოფლიოშია ცნობილი. პოდპოლკოვნიკი პავლე რომანის ძე პოპოვიჩი 32 წლისაა. მისი ასაკი დიდი არაა, მაგრამ პავლემ ამ მოკლე ხანში ბევრი რამის გაკეთება შეძლო. ეს გასაგებიცაა. როცა ადამიანს თავისი ცხოვრება დაკავშირებული აქვს ხალხთან, სამშობლოსთან, იგი ყოველთვის მეტის გაკეთებას ასწრებს. პავლე პოპოვიჩს — კომუნისტს, კოსმონავტთა პარტიული ორგანიზაციის მდივანს კი ცხოვრებაში გარდა ხალხისადმი სამსახურის მიზნისა სხვა მიზანი არა აქვს.

იგი 11 წლისა იყო, როცა დიდი სამამულო ომი დაიწყო. მაშინ დამთავრდა მისი უზრუნველი ბავშვობა. ის უკვე აღარ დასდევდა თავის თანატოლებთან ერთად ბურთს, აღარ ეჯიბრებოდა ბიჭებს, თუ ვინ ადრე მიირბენდა პატარა მდინარესთან, ვინ უფრო მეტჯერ აზიდავდა ტანს ლერძზე. პავლიკა რაღაც უცბად გაიზარდა და დასერიოზულდა. ბიჭუნას უკვე უფროსების ჭირ-ვარამი აფიქრებდა. ფაშისტებმა დაიკავეს სოფელი უზინი, სოფელი, სადაც პოპოვიჩების ოჯახი ცხოვრობდა. მაგრამ ოკუპანტებმა უკრაინაში მშვიდი ადგილი ვერ პოვეს. მათ ფეხქვეშ მიწა იწვოდა. ჰიტლერელებთან ამ წმიდათაწმიდა ბრძოლაში მონაწილეობდა ყველა — დიდიც და პატარაც, მათ შორის ბავშვებიც. უზინელი ბიჭუნები მოთავედ ყოველთვის პავკა პოპოვიჩს თვლიდნენ და ისინიც სწორედ პავკას მეთაურობით ხვრეტდნენ გერმანელთა სატვირთო ავტომანქანების საბურავებს, კასრებიდან სცლიდნენ ბენზინს თხრილებში.

ოკუპანტებისაგან უკრაინის განთავისუფლების შემდეგ პავლემ სწავლა განაგრძო. იგი ყოველთვის სწავლობდა მხოლოდ „კარგზე“ და „ფრიადზე“, დიდ დროს უთმობდა სპორტს. წლის დროებიდან მისი ყველაზე საყვარელი დრო ზამთარი იყო.

საღამოს შვიდწლიან სკოლასთან ერთდროულად სახელოსნო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პავლე სწავლის გასაგრძელებლად შევიდა მაგნიტოგორსკის ინდუსტრიულ ტექნიკუმში. ტექნიკუმში სპორტს დიდი პოპულარობა ჰქონდა მოპოვებული. პავლე დიდხანს ვერ ახერხებდა სექციის არჩევას, სადაც იგი მთელი სულითა და გულით დაიწყებდა წრთობას. მას მოსწონდა მძლეოსნობაც და ტანვარჯიშიც, ფეხბურთიც და რიკაობაც. პავლემ თავისი ძალები სცადა მძლეოსნობაში, აკრობატიკაში და ერთხანს კრივმაც გაიტაცა. ამხანაგები მძლეოსანთა ნაკრებიდან პავლეს ყოველთვის ყველაზე ძნელ ეტაპებს ანდობდნენ კომბინირებულ ესტაფეტაში.

პავლეს უყვარდა ძალოსნობაც. მძლეოსნობაში და ძალოსნობაში მან სათანრიგო ნორმატივები შეასრულა. იგი ახლაც ინახავს სიგელებს, რომლებითაც მაგნიტოგორსკის „შრომითი რეზერვების“ საბჭომ დააჯილდოვა მძლეოსნობაში მესამე ადგილისა და ძალოსნობაში მეორე ადგილის მოპოვებისათვის. პავლე ხშირად მსაჯობდა ძალოსანთა შეჯიბრებებს. ამისათვის მას მიღებული აქვს სამსაჯო კატეგორია.

ერთხელ, როგორღაც, ტექნიკუმში მოვიდა საჰაერო კლუბის წარმომადგენელი.

— ვის სურს გახდეს მფრინავი? — შეეკითხა იგი ჭაბუკებს.

უცბათ სიჩუმე ჩამოვარდა და სწორედ მაშინ გაისმა პოპოვიჩის დაჯერებული და მტკიცე ხმა:

— მე!

— ახლა გადაწყვიტე?

— არა. დიდი ხანია.

— მაშინ შენი გადაწყვეტილება მტკიცე უნდა იყოს.

რამდენიმე დღის შემდეგ პავლე უკვე თვითმფრინავის მოწყობილობას ეცნობოდა. იგი გატაცებით კითხულობდა წიგნებს საავიაციო და საპარაშუტო სპორტზე. ტექნიკუმის დამთავრებისთანავე პავლემ შეიარაღებულ ძალებს მიაშურა და ჩარიცხულ იქნა სამხედრო-საჰაერო სასწავლებლის კურსანტად.

დღეები დღეებს მისდევდა. პავლეს მეცადინეობა არ უჭირდა. პირიქით, იგი ყველა სიმძიმეს ადვილად უმკლავდებოდა, ბევრი დრო რჩებოდა სპორტში და მხატვრულ თვითმოქმედებაში მეცადინეობისათვის. სასწავლებელში ჭაბუკს დიდი ჯაფა არ დასდგომია მშთ მეორე საფეხურის კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაზე...

პავლე ემზადებოდა კოსმოსური გაფრენისათვის, ბევრს ვარჯიშობდა.

— მართალია, — ამბობს იგი, — ჩვენთვის, კოსმონავტებისა და მფრინავებისათვის განსაკუთრებული სარგებლობა მოაქვს ვარჯიშს სპეციალურ საწვრთნელ იარაღებზე: მბრუნავ საქანელებზე, ტანვარჯიშულ ბორბალზე, ბატუტზე. ეს ვარჯიშები ძალზე გვეხმარება იმ ფიზიკური თვისებების სრულყოფაში, რომლებიც დიდ დახმარებას გვიწევენ ფრენის არასასურველი ფაქტორების გადატანაში.

...ბავშვობის წლებში პავლე პოპოვიჩი ოცნებობდა გამხდარიყო ხომალდის კაპიტანი, ემართა გემი. მისი ოცნება ასრულდა. მართალია, სახელმოხვეჭილი ადამიანი მეზღვაური არ გამხდარა, მაგრამ იგი მფრინავი კოსმონავტია.

ვ. მიხაილოვი,
ფ. ვალენტინოვი,
გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“.

საბჭოთა კავშირის პირველობაზე სროლაში ჩვენი რესპუბლიკის მსროლელებმა შ. ქველიაშვილმა და შ. სალუქვაძემ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. ორივე სპორტსმენი გამოდიოდა საბჭოთა არმიის გუნდის შემადგენლობაში და ოქროს მედლებიც მოიპოვეს. შ. სალუქვაძეს ოქროს მედალი ერგო მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში (553 ქულა), შ. ქველიაშვილმა ერთ-ერთ ვარჯიშში 587 ქულის დაგროვებისათვის (ეს შედეგი არმიის გუნდში ყველაზე უკეთესი იყო) მოიპოვა ოქროს, ხოლო მეორე ვარჯიშში კი, იგი ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა. ეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის დიდი წარმატებაა. 25 აგვისტოს შ. ქველიაშვილი მიემგზავრება პრაღაში სოციალისტური ქვეყნების არმიების სპარტაკიადაზე, ამ შეჯიბრების შემდეგ კი ეგვიპტეში, სადაც სექტემბერში გაიმართება მსოფლიო პირველობა სროლაში.

* * *

სურათზე: შ. ქველიაშვილი სასროლეთზე.

მეოთხედფინალის მონაწილენი

მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის ჩოგბურთის კორტებზე დამთავრდა საერთაშორისო ტურნირის პირველი ნახევარი.

გამოვლინდნენ მეოთხედფინალური მატჩების მონაწილენი. აქ არიან ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, ავსტრალიის წარმომადგენლები.

ტურნირში შემდგომი ბრძოლის უფლება მოიპოვეს საბჭოთა ჩოგბურთელებმა: ვ. ეგოროვმა, ს. ლიხაჩოვმა, ტ. ლეიუსმა (ვაჟთა შორის) და ე. ტროშკინამ და ა. დმიტრიევამ (ქალთა შორის).

დუბლიორთა მატჩი

გუშინ, თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შედგა კალენდარული მატჩი ფეხბურთში ტაშკენტის „პახტაკორისა“ და თბილისის „დინამოს“ დუბლიორთა გუნდებს შორის.

მატჩი მოიგეს სტუმრებმა — 2:0.

მკითხველთა სიგნალები

მწვრთნელები საჭიროებენ დახმარებას

ყველასათვის ცნობილია, რომ ფეხბურთი უდიდესი პოპულარობით სარგებლობს ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდებს შორის. ჩვენში მრავლადაა შექმნილი მოზარდ ფეხბურთელთა ჯგუფები, რომლებიც ადგილებზე ვარჯიშობენ მწვრთნელების მეთვალყურეობით. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბავშვებთან მომეცადინეებს სათანადო ყურადღება არ ექცევა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მათ არა აქვთ სახელმძღვანელო პროგრამები და მეთოდური ლიტერატურა მშობლიურ ენაზე, არ არის საჭირო ინვენტარი, სპორტული ფორმა და ბურთები. ჩვენს სპორტულ გაზეთშიც კი გამოცდილი მწვრთნელები ნაკლებად გამოდიან ბავშვთა შორის მუშაობის ჩატარების მეთოდური წერილებით.

ფეხბურთის რესპუბლიკურმა ფედერაციამ და მისმა სასწავლო-მეთოდურმა საბჭომ უფრო აქტიურ ზომებს უნდა მიმართონ, რათა რაიონებში მომუშავე მწვრთნელებს გაუწიონ დახმარება მათს ყოველდღიურ საქმიანობაში.

პ. მალაღურაძე

კვირაში ერთხელ მაინც

ორ დღეს გრძელდებოდა ქარელის საჭიდაო სარბიელზე ასპარეზობა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" ქარელის რაისაბჭოს 1962 წლის პირად-გუნდურ პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში. მასში მონაწილეობდნენ ზემოხვედურეთის, ბრეთის, აბისის, ბრეძისა და სხვა კოლმეურნეობების ნაკრები გუნდები.

ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდნენ ზემოხვედურეთისა და აბისის კოლმეურნეობების ნაკრები გუნდები. გუნდური პირველობა 5 საჯარიმო ქულით მოიპოვა ზემოხვედურეთის კოლმეურნეობის გუნდმა. მას გადაეცა „კოლმეურნის" რაისაბჭოს გარდამავალი თასი და პირველი ხარისხის დიპლომი.

თავიანთ წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ მ. კვინიკაძე, გ. მჭედლიძე, ლ. ჯაფიაშვილი, რ. ცხოვრებაშვილი, ნ. გეგელაშვილი და სხვები.

შეჯიბრება დამთავრდა, მაგრამ არ მოგვარებულა მთელი რიგი მტკივნეული საკითხები სპორტის ამ სახეობასთან დაკავშირებით.

აბისისა და ზემოხვედურეთის კოლმეურნეობებში სათანადო ყურადღება ექცევა ქართულ ჭიდაობას. აქ მწვრთნელებიც ჰყავთ (ა. ბიქოშვილი და ბ. მსხალაძე). მაგრამ იგივე არ ითქმის დირბის, მოხისის, ბრეძის, ახალსოფლისა და დვანის კოლმეურნეობებზე, სადაც მრავალი ახალგაზრდა მოწყურებულია სპორტულ სექციებში მეცადინეობას. გამოსავალი კი ძნელი საპოვნი როდია. აღსანიშნავია რაიონში ერთი მეტად სასიხარულო ინიციატივა, რომელმაც მშრომელთა მოწონება დაიმსახურა. ყოველ შაბათს, დღის 6 საათზე ახალგაზრდები იკრიბებიან სოფელ სალოლაშენში, ხოლო კვირას—სოფელ ბრეთში. საჭიდაოდ მოდიან დირბიდან, ქვენატკოციდან, რუისიდან, ქარელიდან და სხვა სოფლებიდან.

ამ მეტად კარგი საქმის წამომწყები აღმოჩნდნენ სალოლაშენში — გ. ძმოჩაშვილი და ბრეთში — გ. ჯაფიაშვილი.

რატომ არ შეიძლება, რომ ყოველ მეოთხე თუ მეხუთე სოფელში (თუ ეს გეოგრაფიულადაც ეწყობა) კვირაში ერთხელ ეწყობოდეს ქართული ჭიდაობა?!

დ. მურმანიშვილი

წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდება მიანიჭა: ნ. თაყაიშვილს (ტანვარჯიში, თბილისი), ა. საფრონოვს (ცურვა, თბილისი), გ. თარგამაძეს (ჭიდაობა, ბათუმი), გ. ბოგდანოვს (ჭიდაობა, ქუთაისი), ე. ანტონოვს (ფრენბურთი, თბილისი).

• • •

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის სახელი მიენიჭათ: რ. მესხიშვილს, მ. ბაგრატიონს (კალათბურთი, თბილისი), პ. ქებებჩიანს, ა. პეტროსიანს (კალათბურთი, ბათუმი), ვ. პრუსაკოვს (ჭიდაობა, თბილისი), კ. კოზანაშვილს, ვ. ფანჯაკიძეს (თხილამურები, ბაკურიანი), ა. დგებუაძეს (ცხენოსნობა, თბილისი), რ. ცომაიას (ცურვა, თბილისი), რ. არშბას (კრივი, სოხუმი).

პიონერული ზაფხულის

★ ★

წარმატებით აღნიშნეს სპორტული სეზონი

წარმატებით აღნიშნეს მიმდინარე წლის სპორტული სეზონი ამიერკავკასიის რკინიგზის სკოლების პიონერებმა. ჯერ კიდევ მარტის არდადეგებზე თბილისის რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლის ვაჟთა და სამტრედიის რკინიგზის 24-ე საშუალო სკოლის კალათბურთელ გოგონათა გუნდებმა მოსკოვში ჩატარებულ საბჭოთა კავშირის რკინიგზის სკოლების პიონერთა ზონალურ შეჯიბრებაზე პირველი ადგილი დაიკავეს და ფინალში მონაწილეობის უფლება მიიღეს. ასევე ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ხაშურის რკინიგზის მე-4 საშუალო სკოლის ფრენბურთელმა პიონერებმაც.

და აი, 28 ივნისს მოსკოვში ჩვენმა ჭაბუკმა კალათბურთელებმა ზედიზედ მოიგეს ყველა შეხვედრა, საბჭოთა კავშირის რკინიგზის სკოლების ჩემპიონების სახელი და თასი მოიპოვეს. გოგონების ფრენბურთელთა და კალათბურთელთა გუნდები მეორე ადგილებზე გამოვიდნენ.

სპორტული თამაშების დამთავრების შემდეგ შეჯიბრებაში ჩაებნენ თბილისის რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლისა (ვაჟები) და ქუთაისის რკინიგზის 21-ე საშუალო სკოლის (გოგონები) ტანმოვარჯიშეები (მწვრთნელი ტ. უზუნოვი). პირველი ადგილი და თასი მოიპოვეს თბილისელებმა, ხოლო ქუთაისელები (მწვრთნელი თ. აფრიდონიძე) მესამე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

ტანმოვარჯიშე ვაჟთაგან გამოირჩეოდა პირველ ადგილზე გამოსული თბილისელი შ. სარაული, გოგონათა შორის — ქუთაისელი ნ. ლომაძე (II ადგილი).

გ. ქიმერიძე

რაზმებს შორის

ამ დღეებში ჩატარდა სოფ. სალხინოს პიონერთა ბანაკის სპარტაკიადა ფრენბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, ჭადრაკსა და შაშში. ფრენბურთსა და კალათბურთში პირველი ადგილები დაიკავეს მე-3 რაზმის გოგონებმა და ჭაბუკებმა.

ჭაბუკებს შორის ჭადრაკსა და შაშში პირველი ადგილი წილად ხვდა ს. ხაჟომიას, ხოლო გოგონებში ლ. ნაროუშვილს (მე-3 რაზმი). მძლეოსნობაში ჭაბუკებს შორის რბენაში 60 მეტრზე პირველი მივიდა ფინიშთან რ. გაბუნია, გოგონებში — ფ. ჭყონია. სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში პირველი ადგილი დაიკავა ა. გვალიამ.

სპარტაკიადაში გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს მე-3 რაზმის პიონერებმა.

გ. ლაფანაშვილი

ბათუმის პარკში

ლენინის სახელობის პიონერთა პარკი ერთ-ერთი საუკეთესო დასასვენებელი ადგილია ბათუმელი ბავშვებისათვის. პიონერულ ბანაკებში აქ ჩქეფს სისხლსავსე მუშაობა, ეწყობა შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, სპორტსმენებთან. ბათუმელმა პიონერებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს მათს თანამემამულეს, პარკის ყოფილ აქტივისტს, ორგზის მსოფლიო ჩემპიონს კლასიკურ ჭიდაობაში როსტომ აბაშიძეს. იგი ჯინჭარაძის სახელობის № 1 საქალაქო ბანაკის პიონერებმა საპატიო პიონერად აირჩიეს და პარკის საპატიო წიგნში შეიტანეს.

ბავშვებს ყველაზე მეტად სპორტული მუშაობა ახარებთ, რომელსაც ხელმძღვანელობენ ამ საქმის ენთუზიასტები ა. ავალიშვილი და ა. გეტიმიდი. ზოგი ფეხბურთის თამაშის ტექნიკას ეუფლება, ზოგიც ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში ჭადრაკსა და შაშში ცდის თავის შესაძლებლობებს.

№ 1 საქალაქო ბანაკის პიონერები გ. გურულიშვილი, თ. სვანიძე, ა. კეშელავა და ყველაზე პატარა — 8 წლის ვ. ვონიშჩენკოც კარგად დაეუფლენ წყლის თხილამურებზე სრიალს.

ფინიშზე

პარკში მობანაკენი აგვისტოს შუა რიცხვებში გავლენ ბათუმიდან. ისინი 10-დღიან ლაშქრობას მოაწყობენ. ბათუმელ პიონერებს წინ მეტად საინტერესო დღეები ელით.

რ. ბოლქვაძე

სოხუმში ოთხ დღეს გრძელდებოდა რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა წყალქვეშა სპორტში.

დიდ წარმატებას მიაღწია „სოხუმშენის" მუშამ ლ. კონოვალოვამ. იგი უძლიერესი იყო ქალთა შორის ცურვაში 300 მეტრზე, შედეგით — 3.37,2 წუთი.

ამ სახეობაში ვაჟები ცურავდნენ 500 მეტრზე. გაიმარჯვა აფხაზეთის ჩემპიონმა ა. სანგულიამ (6.37,2).

კიდევ ერთი პირველი ადგილი მოიპოვა ლ. კონოვალოვამ ყვინთვაში 30 მეტრ მანძილზე. მისი შედეგია 16,5 წამი. ვაჟთა შორის ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა ა. მოსკალევმა — 24 წამი (დისტანცია შეადგენდა 40 მეტრს).

მესამე სახეობაში (წყალქვეშა ცურვა აქვალანგებით) ქალთა შორის ყველას გაუსწრო აჭარის წარმომადგენელმა ბ. ვორონკოვამ.

რესპუბლიკის აბსოლუტური ჩემპიონები გახდნენ: ქალთა შორის ლ. კონოვალოვა, ვაჟთა შორის — ა. მოსკალევი. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს აფხაზეთის სპორტსმენებმა.

• • •

სურათებზე: მარცხნიდან მარჯვნივ — წყალქვეშა კომპასის შემოწმება სტარტის წინ; რესპუბლიკის 1962 წლის აბსოლუტური ჩემპიონები ლ. კონოვალოვა და ა. მოსკალევი.

ფოტო და ტექსტი ვ. სემიონოვისა.

რესპუბლიკური სპორტკავშირის XII პლენუმის შესახებ

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს XII პლენუმი ჩატარდება მიმდინარე წლის 28 სექტემბერს. პლენუმზე განხილულ იქნება შემდეგი საკითხები: 1. მოსახლეობაში მასობრივ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის შესახებ, 2. საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს IX პლენუმის დადგენილების „რესპუბლიკის სპორტსმენთა და მწვრთნელთა შორის პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის" შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 16 აგვისტოსათვის

მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შირაკი" (ლენინაკანი)	21	13	5	3	32—13	31
„ნაირი" (ერევანი)	21	12	4	5	36—18	28
„ლოკომოტივი" (თბილისი)	21	10	7	4	40—20	27
„ლოკომოტივი" (გომელი)	21	10	7	4	22—13	27
„სპარტაკი" (ბრესტი)	21	9	6	6	24—20	24
„კალევი" (ტალინი)	20	8	5	7	26—20	21
„ნავთ. ქვები" (ბაქო)	21	7	7	7	21—23	21
„ზვეინიეკსი" (ლიეპაია)	21	5	11	5	21—23	21
„ხიმიკი" (მოგილევი)	21	8	5	8	22—25	21
„დინამო" (სოხუმი)	20	7	6	7	28—23	20
სკა (მინსკი)	20	8	4	8	19—19	20
„ნისტრული" (ბენდერი)	21	7	2	12	21—28	16
რეზ (რიგა)	20	5	6	9	23—38	16
„ბანგა" (კაუნასი)	19	5	5	9	18—18	15
„კრ. ზნამია" (ვიტებსკი)	20	6	3	11	17—24	15
„პიშჩევიკი" (ტირასპოლი)	20	5	4	11	19—33	14
„დინამო" (კოპლი)	20	3	3	14	14—50	9

• • •

მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შახტიორი" (ყარაგანდა)	20	13	3	4	37—14	29
„ალგა" (ფრუნზე)	20	9	7	4	33—20	25
„მეტალურგი" (ჩიმკენტი)	18	8	6	4	31—23	22
„პამირი" (ლენინაბადი)	20	9	3	8	38—26	21
„ნეფტიანიკი" (ფერგანა)	19	8	5	6	21—29	21
„მეტალურგი" (რუსთავი)	19	5	10	4	28—20	20
„ენერგეტიკი" (დუშანბე)	19	5	10	4	22—21	20
„პახტაკორი" (ტაშკ. ოლქი)	20	7	5	8	31—29	19
„სტროიტელი" (აშხაბადი)	19	6	7	6	25—26	19
„დინამო" (ბათუმი)	19	6	7	6	20—22	19
„დინამო" (კიროვაბადი)	17	6	5	6	20—19	17
„მეტალისტი" (ჯამბული)	20	5	6	9	19—36	16
„ლორი" (კიროვაკანი)	20	4	7	9	28—31	15
„ხიმიკი" (ჩირჩიკი)	20	4	6	10	17—44	14
„კოლხიდა" (ფოთი)	20	3	7	10	19—28	13

ჩვენი მოსწავლეები პრიზიორთა სამეულში

გუშინ საღამოს საქართველოს უმცროსი ასაკის მოსწავლე-მოჭადრაკეთა ნაკრების მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. გოგლიძემ ზაპოროჟიედან გვაცნობა, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა ბოლო ტურში მოუგეს ტაჯიკეთის ნაკრებს ანგარიშით 6:1. საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა ჭადრაკში უმცროსი ასაკის მოსწავლეთა შორის მოიპოვა უკრაინის კოლექტივმა — 56 ქულა. მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს საქართველოსა და ლენინგრადის მოჭადრაკეებმა (52,5 ქულა თვითეულ გუნდს). აღსანიშნავია, რომ ამ შეჯიბრებაზე საქართველოს კოლექტივმა 11 ჩატარებული შეხვედრიდან მოიგო 9, ერთი ფრედ დაამთავრა და მხოლოდ ერთი წააგო.

აგვისტოს პირველ ნახევარში როსტოვში გაიმართა პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა VIII საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში.

თავისუფალ ჭიდაობაში ადგილები განაწილდა ასე: 1. რუსეთის ფედერაცია, 2. საქართველო (მწვრთნელი ვ. შახბაზოვი), 3. ბელორუსია. პირად ჩათვლაში ჩვენი გუნდიდან ჩემპიონის წოდება მოიპოვეს: ვ. თაბორიძემ, ა. მარგიევმა, ო. ხეთაგურმა და ს. სიქტურაშვილმა.

კლასიკურ ჭიდაობაში პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს ნაკრებმა (მწვრთნელი გ. ჯულუხიძე). მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ რუსეთის ფედერაციისა და ლენინგრადის გუნდები.

პირად ჩათვლაში ჩემპიონის წოდება მოიპოვა ვ. აბასოვმა, მეორე საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ შ. ჯეირანაშვილი, ა. დუდუჩავა, შ. ყულერჯიშვილი და მ. ჩიბურდანიძე, მესამეზე — ზ. მანჯგალაძე და მ. თიგინაშვილი. საქართველოს გუნდს გადაეცა „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს გარდამავალი თასი.

• • •

სურათზე: საქართველოს ნაკრები კლასიკურ ჭიდაობაში: პირველ რიგში (მარცხნიდან) — ბ. ვერულავა, ვ. აბასოვი; შ. ჯეირანაშვილი, უ. ბარბაქაძე. მეორე რიგში (დგანან) — გ. ჯაფარიძე, ზ. მანჯგალაძე, გ. თიგინაშვილი, მწვრთნელი — გ. ჯულუხიძე, ა. დუდუჩავა, შ. ყულჯიშვილი, მ. ჩიბურდანიძე.

ფოტო და ტექსტი
სპორტის ოსტატ ზ. მჭედლიშვილისა.

კალათბურთი

დასასრულს უახლოვდება კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი ვაჟთა გუნდებს შორის.

რიგაში ადგილობრივმა სკა-მ ჩაატარა თავისი უკანასკნელი კალენდარული შეხვედრა. მან დაამარცხა თბილისის „ბურევესტნიკი" — 89:71.

ამ გამარჯვებით ლატვიელმა კალათბურთელებმა სატურნირო ცხრილში გაინაღდეს მეორე ადგილი.

• • •

გათამაშების ცხრილი

ვაჟები

	თ.	მ.	წ.	ქ.
ცსკა მოსკოვი	22	20	2	20
სკა რიგა	22	19	3	19
„სტროიტ". კიევი	20	14	6	14
„სპარტაკი" ლდ.	22	13	9	13
„დინამო" თბ.	17	12	5	12
„დინამო" მოსკ.	22	12	10	12
ვეფი რიგა	19	9	10	9
„ურალმაში" სვ.	19	7	12	7
„კალევი" ტარტუ	20	7	13	7
სკა კიევი	21	6	15	6
„ბურ". თბილისი	19	2	17	2
სკა ლენინგრადი	21	2	19	2

შეუმჩნევლად მიცოცავდა მთის მწვერვალის მახვილი კლდის გრეხილზე გადამჯდარი ადამიანი. მსუსხავი ქარის ყოველი მკვეთრი ქროლვა მას აიძულებდა გაბურძგვნილი ნიკაპით ხშირად მიყრდნობოდა ყინულოვანი კლდის გრეხილს, ხოლო ბაგირი მრისხანე ცისარტყელასავით იკლაკნებოდა თავსზემოთ და ისედაც მერყევად მჯდომ ალპინისტს აქეთ-იქით აქანებდა.

კიდევ რამდენიმე გაცოცვა, რამდენიმე მეტრით წინ გადაადგილება და... იოსებ კახიანი უკვე მთის მწვერვალზეა.

აქ, პატარა მოედანზე, მოწყობილია ქვის გოდორყორე, სადაც ინახება კონსერვის ქილა ალპინისტთა ტრადიციული ბარათით. იოსები იღებს ქაღალდსა და ფანქარს. თოვლისა და ყინულისაგან გალურჯებული, აკანკალებული თითებით იწყებს შემცვლელი ბარათის წერას.

უცბად (ეს მოხდა წამიერად, თვალის დახამხამებაში) ზედ მკერდთან გაისმის გამაყრუებელი ტკაცანი, თვალებში იჭრება მკვეთრი, მწველი სიკაშკაშე და... მწვერვალიდან მოსხლეტილი სხეული ჰაერში ეკიდება. იგი თოკზე გამობმული ქანაობს მწვერვალ ულუთაუ-ჩანის სამხრეთ ფერდობთან მდებარე 3.000-მეტრიან უფსკრულის პირას.

— იოსებ!? იოსებ!? — გაისმის სასოწარკვეთილი შეძახილები.

ამხანაგები სწრაფად მოქმედებენ, სიფრთხილით სწევენ და თავიანთ მხარეს გადააქვთ იოსების უსიცოცხლო სხეული... ხელოვნური სუნთქვა... კოფეინი... ადრენალინი... საბედნიეროდ, მოიერიშე ჯგუფშია ტარასოვი, ექიმი-ალპინისტი...

... სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის იოსებ გრიგოლის ძე კახიანის სახლში, როგორც რელიქვია, სპეციალური შუშის ყუთში ახლაც ინახება მცირე ნაჭრებად ქცეული ალპინისტის ფეხსაცმელები და საიერიშო კოსტიუმი. ეს იყო მკერდთან გამსკდარი ბირთვისებური ელვის შედეგი.

... მხედველობის დაკარგვა, სხეულის მძიმე დამწვრობა. თირნაუზის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში მკურნალობა ოთხი თვის განმავლობაში, პიატიგორსკის კლინიკაში თვალის რთული ოპერაცია.

— მხედველობა გექნება, მუშაობა შეიძლება, მაგრამ მთებთან ყველაფერი დამთავრებულია. ალპინისტური სპორტით გატაცებას წერტილი დაესვა! — უთხრეს ექიმებმა საავადმყოფოდან გამოწერისას იოსებს.

და განა შეეძლოთ ეფიქრათ მაშინ ექიმებს, რომლებიც გულდაჯერებულად ამტკიცებდნენ კახიანის სპორტული კარიერის დასასრულს, რომ იგი მიიღებდა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის მაღალ წოდებას, ხოლო ერთი წლის შემდეგ კომუნიზმის პიკის (7.495) დამპყრობთა მოიერიშე ჯგუფს შეუერთდებოდა და მკერდს დაუმშვენებდა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი?

1959 წლის ზამთარია. რადიოგრამები მიჰქრიან ქალაქებში, ხეობებში, სამთო-მაშველ პუნქტებში — განსაცდელში იმყოფება ქარბუქში მოყოლილი ტურისტთა ჯგუფი ჩეჩენ-ინგუშეთის მთებში. სასწრაფოდ შველაა საჭირო. ყაბარდო-ბალყარეთიდან ქალაქ გროზნოში მიფრინავს ალპინისტთა საძიებო-მაშველი რაზმი, დღე და ღამე ძებნა ქარბუქში; ერთ თოკში ჩაბმული სამი სპორტის ოსტატი — იოსებ კახიანი და ძმები ხერგიანები გადიან სახიფათო თხემზე და პოულობენ გათოშილ, შიმშილისაგან ღონემიხდილ ტურისტებს.

მხსნელებს მხურვალე მადლობას უძღვნიან გადარჩენილთა მშობლები, გულთბილ შეხვედრას უწყობენ მთავრობის ხელმძღვანელები და აჯილდოებენ ჩეჩენ-ინგუშეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით, ასაჩუქრებენ სახელობითი საათებით. ასეთსავე დახმარებას უწევს კახიანი მოსკოველ ტურისტებს ტვიბერის უღელტეხილთან, ლენინგრადელ სტუდენტ-დიპლომანტს იალბუზთან და სხვა მრავალს.

ხშირად მოდის წერილები კახიანის სახელზე პატარა სოფელ ქაბეშში. მას სწერენ მეგობრები და ამხანაგები, მთამსვლელები და მოგზაურები, რომლებსაც იოსებთან ერთად მონაწილეობა მიუღიათ ლაშქრობებსა და ასვლებში. ზამთრის ერთ დღეს მოიტანეს დიდი კონვერტი: „მისტერ ჯოზეფ კახიანს". საფოსტო ბეჭედზე ლათინური ასოებით ეწერა: „ინგლისი, აბინგერი, სურეის საგრაფო". იოსებმა გახსნა კონვერტი და იქიდან ამოიღო ინგლისურ გაზეთ „ტაიმსის" რამდენიმე ფერში დაბეჭდილი გვერდი. იოსების თანასოფლელებმა ერთ-ერთ გვერდზე შეამჩნიეს ნაცნობი სახე. დიახ, ეს იყო იოსებ კახიანი, გადაღებული მაღალი ტანის მომღიმარ ქალთან ერთად იალბუზის ფერდობზე. იოსები, თავის მეგობარ სპორტის ოსტატ მიშა ხერგიანთან და მოსკოველ ალპინისტებთან ა. სიდორენკოსა და ე. გიპენრეიტერთან ერთად თან ახლდა ცნობილ ინგლისელ ალპინისტ ქალს ქ-ნ ჯოის ჯანშიტს კავკასიაში მოგზაურობის დროს. მათი თანხლებით სტუმარმა იალბუზი დაიპყრო, ესტუმრა იოსებ კახიანსაც სვანეთში, მის მშობლიურ სოფელ ქაბეშში.

იოსების მაგიდა ფოტოსურათებითაა მოფენილი. ერთ-ერთ მათგანზე მასპინძლისა და მიშა ხერგიანის შუაში მხრებზე ხელგადახვეული დგას ოდნავ ჭაღარაშერეული, ქერათმიანი, მკვრივი ტანის



ადამიანი, ეს პოლკოვნიკი სერ ჯონ ჰანტია — ევერესტზე ინგლისელთა ცნობილი ექსპედიციის ხელმძღვანელი. ჩვენი მთების ამ სტუმარსაც ახლდა იოსები.

გასული წლის გაზაფხულზე ჩვენმა ალპინისტთა სპორტულმა დელეგაციამ ინგლისში მეგობრული ვიზიტით ყოფნისას ძველ მეგობრებთან — ბრიტანელ ალპინისტებთან ერთად განახორციელა ასვლები შოტლანდიისა და ჩრდილოეთ უელსის მთებზე.

ძველმა ნაცნობებმა კახიანი გულთბილად მიიღეს. იგი სტუმრად მიიწვია ქალბატონმა ჯოის ჯანშიტმა, შეხვედრა მოუწყეს ინგლისის მსოფლიოში უძველეს ალპინისტთა კლუბში, რომლის პრეზიდენტია ჯონ ჰანტი.

წელს ორი დიდი მოვლენა მოხდა იოსებ კახიანის ცხოვრებაში — შეუსრულდა 40 წელი და მიენიჭა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის მაღალი წოდება. მრავალი მისალოცი წერილი და დეპეშა მოდის იოსებს და უსურვებენ ბედნიერებასა და შემდგომ წარმატებებს.

და ჩვენც, მისი მეგობრები, სულითა და გულით ვუსურვებთ იოსებს ჯანმრთელობასა და შემოქმედებითს წინსვლას.

ა. მამიშევი.

ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ალპინიზმის რესპუბლიკური სექციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ვილნიუსში ამ ორიოდე კვირის წინ ჩატარდა საბჭოთა კავშირის პირადი პირველობა მაგიდის ჩოგბურთში ახალგაზრდებს შორის. ამ შეჯიბრებაზე დიდ წარმატებას მიაღწია მოსწავლე თ. რამაზაშვილმა, რომელმაც პირად ჩათვლაში II საპრიზო ადგილი დაიკავა, ხოლო ჭაბუკთა წყვილებში აზერბაიჯანელ ი. ნოვიკოვთან ერთად საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა.

სურათზე: თ. რამაზაშვილი თამაშის დროს.

ფოტო ი. იუნაევისა.

მ ე ს ა მ ე ა დ გ ი ლ ზ ე

კრემენჩუგი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). დამთავრდა ოსტატთა კოლექტივებთან არსებული მოზარდ ფეხბურთელთა მოსამზადებელი ჯგუფების საკავშირო გათამაშება,

ბოლო მატჩი თბილისის ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდს ჰქონდა უჟგოროდის „ვერხოვინასთან". თამაში დამთავრდა ფრედ — 3:3. თბილისელებმა ტურნირში დაიკავეს მესამე ადგილი.

გ. ხაჭანიძე,

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ინდონეზიის სპორტულ გაერთიანებათა კავშირის გადაწყვეტილებით

ინდონეზიის სპორტულ გაერთიანებათა კავშირმა მიიღო დადგენილება მოკრივეთა პროფესიული ღონისძიებების აკრძალვის შესახებ. ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს ის, რომ ინდონეზიის პატიოსან სპორტსმენებს თავი მოაბეზრა პროფესიონალ საქმოსანთა მაქინაციებმა. მათ არ სურთ, რომ მოკრივეებმა შემდგომშიც შესწირონ თავიანთი ჯანმრთელობა და ძალები ბიზნესმენთა გამდიდრების საქმეს.

საინტერესოა, რომ პროფესიონალ მოკრივეებს ნება ეძლევათ მიიღონ მონაწილეობა ბრძოლებში, მაგრამ ეს უნდა მოხდეს სპორტულ გაერთიანებათა კავშირის მკაცრი კონტროლის ქვეშ. ადგილობრივი პრესა ამ ღონისძიებას „გაწმენდას" უწოდებს.

ძირს პროფესიონალური კრივი!— ხმას იმაღლებს შავი აფრიკა

ამა წლის 24 მაისს, ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ გარდენის" რინგზე ქვესაშუალო წონაში მსოფლიო ჩემპიონის სახელის დაცვის დროს დაიღუპა პროფესიონალი მოკრივე ბენი კიდ პარეტი. ეს მოხდა მე-12 რაუნდზე, თუმცა უკვე მე-8 რაუნდში პარეტი ნოკდაუნში იმყოფებოდა.

ბრძოლა რინგზე წარმოადგენდა არა მოკრივეთა სპორტულ შეხვედრას, არამედ ადგილს, სადაც თავიანთ პირად ანგარიშებს უსწორებდნენ ერთმანეთს პარეტი და გრიფიტსი.

„მედისონ სკვერ გარდენის" სისხლით მორწყული რინგი დღესაც იწვევს აღშფოთებას მთელ მსოფლიოში, კვლავ გაისმის პროტესტის ხმები, ამერიკული კრივი უარყოფითადაა დახასიათებული, ხოლო ბენი კიდ პარეტის სიკვდილში დამნაშავეა თითქმის ყველა: შეხვედრის მსაჯი, მატჩის მომწყობი პირები, ექიმები, თვით გრიფიტსი და აგრეთვე პარეტის მწვრთნელი.

ამას წინათ აფრიკულმა ჟურნალმა „ბინგომ" თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა აფრიკის კონტინენტს ზანგ მოკრივეთა შორის ჩატარებული ანკეტა. აი რას ამბობენ ისინი აღნიშნული მატჩის და პროფესიონალური, კერძოდ, ამერიკული კრივის შესახებ.

აისა აშასი (საჰარა). მე, როგორც ამერიკის რინგებზე ბრძოლების მონაწილეს, შემიძლია ვთქვა, რომ კრივი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ეს არ არის სპორტული ღონისძიება, არამედ სანახაობაა, სადაც ორი ადამიანი არასდროს არ ფიქრობს დაცვაზე და იყენებს ყოველნაირ ნებადაურთველ ილეთებს. ჯიმ ჰორსბთან ჩემი შეხვედრის დროს მსაჯს არ შეუწყვეტია ბრძოლა, თუმცა მოწინააღმდეგე მუხლებითაც კი მაყენებდა დარტყმებს.

საბედნიეროდ, ევროპული კრივი მკვეთრად განსხვავდება ამერიკულისაგან. ჩვენ იგი გვიყვარს და ვაფასებთ. ერთი შენიშვნა — კარგი იქნებოდა 8-უნციანი ხელთათმანები შეიცვალოს სამოყვარულო 5-6-უნციანი ხელთათმანებით.

კამარა დიოგი (გვინეა) — აფრიკის კონტინენტის საუკეთესო მოკრივე უმჩატეს წონაში. ერთი რამ ნათელია — პარეტის მკვლელობაში დამნაშავენი არიან არა მარტო მსაჯი და გრიფიტსი, არამედ კრივის გარშემო მოფუსფუსე მრავალი საქმოსანი. ამერიკის ტელეხედვათა კომპანიებმა თუმცა უარი თქვეს ევროპისათვის ფილმის მიყიდვაზე (საზღაპრო ფასებშიც კი), მაგრამ სიმართლეს ფარდა მაინც აეხადა.

ევიფან აკონო (კამერუნი). დამნაშავეა მსაჯი. მასაც ხომ მოკრივის თვალი აქვს. პარეტის მდგომარეობა მხედველობიდან არ უნდა გამოჰპარვოდა. დამნაშავეა მწვრთნელიც. იმ დროს იგი თავის მოწაფეს როდი ზოგავდა. მას ფინანსური საკითხი უფრო აწუხებდა.

ასანი დიუფი (ჩადი). იმისათვის, რომ კრივი სპორტის ჭეშმარიტ სახეს ატარებდეს, საჭიროა ექიმების მიერ მოკრივეთა გულმოდგინე მოვლა და გასინჯვა. საექიმო კონტროლი საჭიროა არა მარტო გასახდელში და სპორტსმენის აწონვისას, არამედ ბრძოლის შემდეგაც.

ამჟამად ამბობენ, რომ მოსალოდნელია სპორტსმენთათვის დაცვითი საშუალებების გამდიდრება — შემოღებულ იქნება ნიღბები საფეთქლებზე, წარბებსა და კეფაზე. ვფიქრობ, ეს საქმეს არ შეველის. უკეთესია ივარჯიშო რაც შეიძლება მეტი, აირიდო დარტყმები და, რაც მთავარია, ბრძოლის დროს სალად იაზროვნო.

კუზ ანჟელ გარსია — პარეტის მეგობარი. ბენი — ეს იყო კარგი ჭაბუკი. იგი, როგორც მამამისი, ალბათ პლანტატორი გახდებოდა, მაგრამ ბავშვობიდანვე შეუყვარდა კრივი და შემდეგში პროფესიონალიც გახდა. გრიფიტსთან შეხვედრა ნაჩქარევი იყო. იგი ჯერ კიდევ არ იყო მომჯობინებული ფიულმერთან ბრძოლაში მიღებული ნოკაუტის შემდეგ. მეც მოკრივე ვარ და არაფრის გულისათვის არ წავალ ამერიკაში. საფრანგეთში კრივს სპორტად თვლიან, ამერიკაში კი — იგი სასაკლაოა.

ფერნან ნოვე — საფრანგეთის ჩემპიონი მსუბუქ წონაში (მავრიტანია). კარგმა მწვრთნელმა ყოველმხრივ უნდა იცოდეს თავისი მოკრივე და მისგან არასდროს არ უნდა შექმნას მსხვერპლი. მთავარი, რასაც მომავალში უნდა მიექცეს დიდი ყურადღება, ეს სამედიცინო შემოწმებაა, სწორედ ამ ორმა ფაქტორმა დაღუპა პარეტი.

სპორტული მოღვაწე, რომელმაც არ მოისურვა გვარის დასახელება. ბევრი მიმოგზაურია. ვიყავი ამერიკის შეერთებულ შტატებში, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, საბჭოთა კავშირში და მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებში. მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ საბჭოთა კავშირში და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სამედიცინო მომსახურება და საწვრთნელი მუშაობა მიმართულია სპორტსმენის ჯეროვანი მომსახურებისაკენ. ექიმები მოკრივეებს გულდასმით სინჯავენ, მათ მდგომარეობას ამოწმებენ ელექტროკარდიოგრამებით, ენცეფალოგრამებით და სხვ. მკურნალობა და გასინჯვა უფასოა.

მე მიყვარს კრივი. სპორტის ამ სახეობაში მუშაობას უკვე 30 წელი შევწირე. წლითიწლობით კლასიკური კრივი გაქრებოდა, საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები ასე ფხიზლად რომ არ იცავდნენ კრივის — მამაცთა და ძლიერთა სპორტის — კარგ ტრადიციებს.

ბუაე — მღვდელი, სენეგალის კრივის ფედერაციის თავმჯდომარე (სენეგალი). ძნელია იმსჯელო შეჯიბრებაზე, რომელიც არ გინახავს. მე ვერ გადამიწყვეტია რომელიმე მონაწილისათვის მსჯავრის დადება, მაგრამ ის, რომ მატჩის გარშემო მიმდინარეობდა კულისებსიქითა ბრძოლა, რომლის მსხვერპლიც შეიქნა პარეტი, სასწრაფოდ უნდა აღიკვეთოს და დამნაშავეები დაისაჯონ შეუბრალებლად.

კრივი — თავისთავად სპორტის კარგი და ჯანმრთელი სახეობაა.

ჯან აიისი (კამერუნის კრივის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის დროებითი აღმსრულებელი). პარეტის სიკვდილი — ეს უბედური შემთხვევა როდია. მსაჯს მაყურებელთა გასართობად კი არ უნდა გაეგრძელებინა ბრძოლა, რომელიც შექმნილ სიტუაციაში აუცილებლად ერთ-ერთი მოკრივის სიკვდილით დამთავრდებოდა, არამედ, ვალდებული იყო შეეჩერებინა იგი. მართალია, ეს ცნობილი არ არის, მაგრამ შეიძლება დოპინგის გამოყენებასაც ჰქონდა ადგილი და ორგანიზმი უკიდურესად გამოიფიტა, რასაც მოჰყვა სიკვდილი.

და კოსტა (კამერუნი). კრივი ეს სპორტია და მასაც გააჩნია თავისი „უხერხულობანი". მოკრივენი არ არიან დამნაშავენი — ბრძოლის დროს ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ მწვრთნელი და მსაჯი ვალდებულნი არიან თვალი ადევნონ ბრძოლას და დროულად შეაჩერონ იგი. საექიმო კონტროლი საჭიროა ყველა ბრძოლის შემდეგ, მაგრამ ექიმისათვის მისაცემი ფული როდესაც არ არის ჯიბეში, მის საშოვნელად ბრძოლაა საჭირო.

გაბრიელ ასაგა (კამერუნის ეროვნული მწვრთნელი). პარეტმა ცუდად დაისვენა მიღებული ორი ნოკაუტის შემდეგ. მსაჯებსა და ექიმებს არ უნდა დაეშვათ იგი საბრძოლველად, ხოლო მწვრთნელს კი—რინგზე. მაგრამ შექმნილ მდგომარეობას არავინ არ გაუწია ანგარიში, ყველა ფულზე „თამაშობდა".

• • •

სურათებზე: საშუალო წონის პროფესიონალი მოკრივეების — პარეტისა და გრიფიტსის შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად. მარცხნივ — მე-10 რაუნდი. გრიფიტსს მარწუხებში ჰყავს მომწყვდეული ნახევრად გრძნობადაკარგული პარეტი; მარჯვნივ — ამაოდ ცდილობენ რინგზე უგონოდ დაგდებული პარეტის მოსულიერებას.

პარეტთან დაკავშირებული უბედური შემთხვევის შემდეგ ნიუ-ჯერსის შტატს ახალი წესების გამოცდა უნდა კრივში: რაუნდებს შორის სპორტსმენებს მიეცეს წუთნახევრიანი დასვენება, ნაცვლად წუთისა. საექიმო შემოწმება შემოღებულ იქნას რაუნდებს შორის შესვენებების დროსაც. მაგრამ ეს ცარიელი ხმაურია, ატეხილი პარეტის სიკვდილის გარშემო და იგი ისევე მიეცემა დავიწყებას, როგორც სხვა ადრინდელი დაპირებანი.

ამერიკული კრივი მხოლოდ მაშინ გახდება სპორტული, როდესაც იგი თავიდან მოიშორებს მუქთახორებსა და გაქნილ საქმოსნებს. რინგზე არ უნდა იქნან დაშვებული მოჩხუბრები და საქმოსანთა ხელშემწყობნი. უნდა გვახსოვდეს, რომ მოკრივეთა ბრძოლა—ეს სუფთა, ამაღლებული, კეთილშობილური სპორტული ხელოვნებაა.

რედაქტორი ო. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის — 8-85-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-35-09, გამომშვების — 8-01-08.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 09573